საქართველოს ეროვნული ბანკი
რეგისტრირებულია
პრეზიდენტის აპარატის,
კანცელარიის განყოფილებაში
"12" 08 2013 № 185/24

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. თბილისი 12.08.2013 წ.

შემსყიდველი: ს.ს.ი.პ. „საქართველოს ეროვნული ბანკი",
აღმასრულებელი დირექტორი გიორგი მელაშვილის სახით
მისამართი: ლეონიძის ქ. 3/5, თბილისი 0105, საქართველო
საიდენტიფიკაციო კოდი: 203 824 148

მიმწოდებელი: შპს „ლასარე" მისი დირექტორის სერგო ლასარეიშვილის სახით
მისამართი, ტელეფონი: ქ.თბილისი, აეროპორტი, ტელ.: (995 32) 2 450 330, 2 450 880
საიდეტიფიკაციო კოდი: 208 145 176
საბანკო რეკვიზიტები: სს „რესპუბლიკა" ც/ფ. კოდი REPLGE22 ანგ. №GE74BR00000106 218 215 15

ერთის მხრივ - შემსყიდველი, და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვით, შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის კუთვნილ ავია.ტვირთთან (ავია ზედდებული №235-3410 0275) დაკავშირებით სატერმინალო მომსახურების (შემდგომში „მომსახურება") განხორციელება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში - დანართის შესაბამისად; (CPV: 63120000).

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება;

2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი გიორგი მელაშვილი და/ან შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი ალექსანდრე კირვალიძე;

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი, ყველა იმ დეფექტის აღმოფხვრა, რაც მის მიერ არ იყო დაფიქსირებული ავია ტვირთის მის კომპეტენციის სფეროში მოხვედრის პერიოდისათვის.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს ერთიანად არაუგვიანეს 2013 წლის 15 აგვისტოსი;

3.2. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

3.3. შემსყიდველი ვალდებულია ავია ტვირთის მიღებისასთანავე დროულად დააფიქსიროს და აცნობოს მიმწოდებელს ინსპექტირების შედეგად დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზის შესახებ;

3.4. შემსყიდველის მხრიდან 3.2. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი გიორგი მელაშვილი.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 99.19 (ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ცხრამეტი თეთრი) ლარს („ხელშეკრულების ფასი");

4.2. ხელშეკრულების ფასი მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს;

4.3. ხელშეკრულების ფასის (ან მისი ნაწილის) გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით;

4.4. ანგარიშსწორება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 ქვეპუნქტის შესაბამისად მომსახურების ან მისი ნაწილის მიღებიდან და მიმწოდებელის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან (იმისდამიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება) არაუმეტეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაწეული მომსახურება;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1. ტვირთზე (საქონელზე), რომლის მიმართაც უნდა განხორციელდეს მომსახურება გააჩნდეს აუცილებელი დოკუმენტაცია;

5.2.2. მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში დაფიქსირებული საქონლის სახე, კომპლექტაცია, რაოდენობა, ღირებულება და სხვა აუცილებელი ინფორმაცია შეესაბამებოდეს წარდგენილი ტვირთის (საქონლის) შესაბამის მაჩვენებლებს;

5.2.3. საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგინოს ყველა საჭირო დოკუმენტი;

5.2.4. გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.3.1. იყოს მეწარმეთა შეასხებ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმო;

5.3.2. ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. მიმწოდებლის მიზეზით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.5%-ის ოდენობით, შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით;

6.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.5%–ის ოდენობით;

6.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

6.4. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური ოდენობა შეადგენს ხელშეკრულების ფასის 15%–ს მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად გაწყვიტონ ხელშეკრულება.

მუხლი 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

7.2. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა;

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. დავათა განხილვის წესი

10.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ზოგადი დებულებები

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს;

11.2. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

11.3. ხელშეკრულების გაწყვეტის ინიციატორი ვალდებულია, სულ მცირე 2 დღით ადრე, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილების შესახებ;

11.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

11.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
გიორგი მელაშვილი	**სერგო ლასარეიშვილი**
საქართველოს ეროვნული ბანკი	შპს „ლასარე"
აღმასრულებელი დირექტორი	დირექტორი
ბ.ა.	ბ.ა.

სატვირთო ტერმინალი "ლასარე"–ს მომსახურება
სებ-ის კუთვნილ ავია.ტვირთთან (ავია ზედდებული №235-3410 0275) დაკავშირებით

დანართი:

#	დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	თანხა
1	სახმელეთო მომსახურება	კგ.	152	36.480
2	სატერმინალო სატვირთო მომსახურება	კგ.	152	30.400
3	დროებითი შენახვა	კგ.	152	3.040
4	მძიმე ტვირთი	კგ.	152	4.560
5	საიმპ.ტვირთის დოკუმეტაცია	ცალი	1	12.000
6	უსაფრთხოება	ცალი	152	12.160
	ჯამი			98.640
	დ.ღ.გ. (დროებითი შენახვა)	18%		0.55
	სულ თანხა			99.19

შემსყიდველის მხრიდან

გიორგი მელაშვილი _____
საქართველოს ეროვნული ბანკის
აღმასრულებელი დირექტორი

ბ.ა.

მიმწოდებლის მხრიდან

სერგო ლასარეიშვილი _____
შპს „ლასარე"
დირექტორი

ბ.ა.

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, საქართველოს ეროვნული ბანკის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი მელაშვილი, შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი გიორგი მელაშვილი და შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი ალექსანდრე კირვალიძე ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა სებ-ის კუთვნილ ავია.ტვირთთან (ავია ზედდებული №235-3410 0275) დაკავშირებით სატერმინალო მომსახურების (მიმწოდებელი შ.პ.ს. „ლასარე" ს/კ 208 145 176) შესყიდვისას არ იწვევს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტს.

აღმასრულებელი დირექტორი — გიორგი მელაშვილი

შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი — გიორგი მელაშვილი

შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი — ალექსანდრე კირვალიძე

12.08.2013 წ.